

FAQ - ხშირად დასმული შეკითხვებისთვის

მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის შესახებ

1. რა არის საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა?

საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობა გულისხმობს მოსახლეობასა და პოლიციას შორის პარტნიორობის გაღრმავებას და დანაშაულის პრევენციას საზოგადოების წევრებისა და შესაბამისი უწყებების ჩართულობით. მართლწესრიგის ოფიცერი სწორედ საპოლიციო მოდელის ნაწილია, რომლის მიზანია საზოგადოებასა და პოლიციას შორის მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება, პარტნიორული ურთიერთობის გაძლიერება, დანაშაულისა და სამართალდარღვევის პრევენცია

2. რას საქმიანობს მართლწესრიგის ოფიცერი და რა არის მისი უშუალო ფუნქცია-მოვალეობები?

მართლწესრიგის ოფიცრის საქმიანობის მთავარი მიზანი არის დანაშაულის პრევენცია, მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია:

- დანაშაულისა და სამართალდარღვევის ხელშემწყობი ფაქტორების იდენტიფიცირება და მათი აღმოფხვრის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება;
- დანაშაულზე ან/და სამართალდარღვევაზე წასწრებისას, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება;
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირება, ამასთან დაკავშირებით, შემაკავებელი ორდერების გამოცემა. შემაკავებელი და დამცავი ორდერების მონიტორინგი.

- სამეზობლო კონფლიქტებზე რეაგირება, მათი თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი პრევენციული პროექტების/ინიციატივების შემუშავება და განხორციელება;
- ბავშვთა უმეტესწილად დატოვების და არასრულწლოვანთა მიერ/მიმართ ჩადენილი დანაშაულის პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;
- დისკრიმინაციული ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ჩადენილი დანაშაულის პრევენციის მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;
- საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი უცხოელების გამოვლენა, ამ მიმართულებით, კანონით გათვალისწინებული ზომების მიღება.

მართლწესრიგის ოფიცრის უფლება-მოვალეობებს დეტალურად შეგიძლიათ გაეცნოთ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებებით.

3. როგორია მართლწესრიგის ოფიცრის სამუშაო გრაფიკი?

მართლწესრიგის ოფიცრის სამუშაო გრაფიკია:

ორშაბათი - ხუთშაბათი	10:00 – 19:00
პარასკევი	10:00 – 17:00
შაბათი	11:00 – 15:00

4. როგორ დავუკავშირდეთ მართლწესრიგის ოფიცერს?

თქვენ შეგიძლიათ მართლწესრიგის ოფიცერს პირადად მიმართოთ მათ სამოქმედო სექტორზე, ქვეითად პატრულირების დროს ან შესაბამის განყოფილებაში. ასევე არსებობს ტელეფონზე და ინტერნეტის მეშვეობით დაკავშირების შესაძლებლობაც.

მართლწესრიგის ოფიცრების საზოგადოებასთან დაახლოებისა და ინტენსიური კომუნიკაციის მიზნით, შეიქმნა Facebook-გვერდი (მართლწესრიგის ოფიცერი) და მიმდინარეობს ასევე ვებ-გვერდის (officer.ge) დახვეწა, სადაც განთავსებულია ცალკეული მართლწესრიგის ოფიცრების ინდივიდუალური პროფილები და ყველა მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს იპოვოს მის ტერიტორიაზე მომუშავე მართლწესრიგის ოფიცერი, დაუკავშირდეს მას და მიაწოდოს ინფორმაცია ნებისმიერი დანაშაულის ან სამართალდარღვევის შესახებ.

მართლწესრიგის ოფიცრობის მსურველთათვის

5. სად შემიძლია მოვიძიო ინფორმაცია მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე?

მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიებზე ინფორმაცია შეგიძლიათ მოიძიოთ hr.police.ge.

6. როგორია მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნის პროცესი?

თუ თქვენ გსურთ გახდეთ მართლწესრიგის ოფიცერი, ძირითადი (საკონკურსო) მოთხოვნაა უმაღლესი განათლება მიუხედავად, პროფესიისა. თუმცა, სასურველია იურიდიული განათლება, აგრეთვე, მართვის მოწმობის ფლობა და უცხო ენის ცოდნა. ამასთანავე, მართლწესრიგის ოფიცრის კანდიდატისთვის მნიშვნელოვანია კომუნიკაციის და მედიაციის უნარები. შერჩევის პროცესი შედგება რამდენიმე ეტაპისაგან, კერძოდ:

- ✓ განაცხადის ფორმის საფუძველზე შესაბამისი კანდიდატების გადარჩევა;
- ✓ უნარ-ჩვევების ტესტი/IQ ტესტირება;

- ✓ გასაუბრება;
- ✓ ფიზიკური მომზადებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმება;
- ✓ მართლწესრიგის ოფიცრის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსურველთა მოტივირების მიზნით ის კანდიდატები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შერჩევის ეტაპებს პოლიციის აკადემიაში სწავლის დაწყებამდე ინიშნებიან მართლწესრიგის ოფიცრის პოზიციაზე და სწავლის პროცესში იღებენ თანამდებობრივი სარგოს ნახევარს.

7. რა კრიტერიუმების მიხედვით ხდება მართლწესრიგის ოფიცრობის მსურველთა ფიზიკური მომზადების შემოწმება?

ნორმატივის სახეობა	ქულა			
	1	2	3	4
სირბილი 100 მ.	18 წმ.	17 წმ.	16 წმ.	15 წმ.
სირბილი 500 მ.	2 წთ.	1.55 წთ	1.50 წთ.	1.45 წთ.
წოლბჯენში აზიდვა (რაოდენობა) (კაცი კანდიდატი)	10	15	20	25
მუცლის პრესი (რაოდენობა)	5	10	15	20

შენიშვნა: ფიზიკური მომზადების ნორმატივები ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კაცი კანდიდატი ოთხივე სახეობაში აჩვენებს დადებით შედეგს და ჯამში დააგროვებს არანაკლებ 5 ქულას, ხოლო ქალი კანდიდატი სამივე სახეობაში აჩვენებს დადებით შედეგს და ჯამში დააგროვებს არანაკლებ 4 ქულას.

8. როდის და რა ფორმით შევიტყობ ინფორმაციას ჩემს მიერ საკვალიფიკაციო ეტაპების გავლის შესახებ?

საკონკურსო ეტაპის გავლის შემთხვევაში გაცნობებთ, კანდიდატთა შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, თქვენს მიერ მითითებული ინფორმაციის მეშვეობით.

9. მოქმედებს თუ არა მართლწესრიგის ოფიცრად გახდომისათვის ასაკობრივი შეზღუდვა?

მართლწესრიგის ოფიცრად გახდომა შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან ქმედუნარიან საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

10. მაქვს სრული ზოგადი განათლება, ამჟამად ვარ სტუდენტი, მართლწესრიგის ოფიცრის ვაკანსიაზე განცხადების გაკეთება შემიძლია?

არა. აუცილებელია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ან დიპლომის შესახებ ცნობის წარდგენა.

11. რა საბუთების ჩაბარებაა საჭირო მართლწესრიგის ოფიცრობის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?

მართლწესრიგის ოფიცრობის კონკურსში მონაწილეობისათვის საჭიროა:

- ✓ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (დიპლომის) ასლი;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი.

12. ვებ. გვერდზე www.hr.police.ge, რა ფორმატით უნდა აიტვირთოს მოთხოვნილი დოკუმენტები?

გთხოვთ, გაითვალისწინოთ რომ ვებ. გვერდი www.hr.police.ge მოთხოვნილ დოკუმენტებს მხოლოდ იღებს JPG (.jpg) ფორმატის, ე.წ. სურათის სახით. სხვა ფორმატით არც ერთი დოკუმენტის წარმოდგენა ვერ ხდება სააპლიკაციო განაცხადში.

13. რამდენი ხანი გრძელდება მართლწესრიგის ოფიცრებისათვის პოლიციის აკადემიაში საბაზისო მომზადების კურსი?

მართლწესრიგის ოფიცრებისათვის პოლიციის აკადემიაში საბაზისო მომზადების კურსი შეადგენს 24 კვირას (6 თვე).

14. რატომ არ შეიძლება ერთი და იმავე დანაყოფში წარადგინოს ერთზე მეტი განცხადება/აპლიკაცია კანდიდატმა?

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის N995 ბრძანების თანახმად, კანდიდატი უფლებამოსილია ერთი და იმავე დანაყოფში წარადგინოს მხოლოდ ერთი განცხადება/აპლიკაცია.

15. ვინ შეიძლება მივუთითოთ რეკომენდატორის ველში?

რეკომენდატორის ველში უნდა მოხდეს მითითება პირის, რომელიც დაადასტურებს კანდიდატის პროფესიულ თუ საგანმანათლებლო უნარ-ჩვევებს, სასურველია რეკომენდატორად მითითებულ იქნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი.

16. როგორ გავიგებ გადავლახე თუ არა გასაუბრების ეტაპი?

კანდიდატი, რომელიც გადალახავს გასაუბრების ეტაპს, შსს-ს შესაბამისი თანამშრომელი, დადებითი პასუხის შემთხვევაში, დაუკავშირდება მის მიერ სააპლიკაციო განაცხადში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციაზე.

17. ხდება თუ არა გამოგზავნილი აპლიკაციის ხელახლა ან წინასწარ გადახედვა კანდიდატის სურვილის შემთხვევაში?

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კანდიდატის მიერ შევსებული განაცხადი გაივლის ყველა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებს, და არ არის საჭირო კანდიდატის დაკავშირება შსს-ს ადამიანური

რესურსების მართვის დეპარტამენტთან აპლიკაციის წინასწარ ან გამოგზავნის შემდგომ გადახედვის მოთხოვნით.